F 2688 ն/13460

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბალშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

კვირა, 25 ივლისი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 1 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 1

3004

**მსოფლიო რეაქცია „ნაციათა ლიგის“ სახელით ახალ შემოტევას იწყებს რუსეთის მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.**

**საქართველოს მუშებო და გლეხებო! ეს საბოლოოვოთ გადამწყვეტი ბრძოლის დასასრულია: ჩაები[illegible] ამ ბრძოლაში, მხარი დაუჭირეთ მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ძლევა-მოსილ მებრძოლს, საბჭოთა რუსეთს!**

**საქართველოს მთავრობა „მუშათა დელეგაციას“ გზავნის საბჭოთა რუსეთში:**

**მუშებო და გლეხებო! გაუწოდეთ ხელი საბჭოთა რუსეთის მუშებსა და გლეხებს და მას[illegible] კავშირი კვლავ აღადგინეთ! მჭიდრო ძმური, ხოლიდარული კავშირი საბჭოთა რუსეთთან!**

## პირველი გრუხუნი

წყეული იმპერიალისტური ომის ერთ-ერთი განსაკუთრებული თვისება იყო ის, რომ ევროპის ნიადაგზე საშინელ შეტაკებებით წყდებოდა საკითხი შორეული კოლონიების—ვინ შესძლებს მათ წაგლეჯას, დატორვას და სახედნ პირუტყვათ გამოყენებას. ევროპის დიდი ნაწილი იქცა ნანგრევებათ, მიწა გაჟღენთა პროლეტარების სისხლით, გადაბუგულ ქალაქებს და სოფლებს ახლაც ასდის კაენისებური კვამლი. მარა ევროპის ბედი გაიზიარეს ნახევრათ კოლონიებმა და მათმა ნაწილებმა: სპარსეთი და სომხეთი, მესოპოტამია და ანატოლია, სირია და არაბეთი—აი ის ნაწილები ახალი აღმოსავლეთის, რომლებსაც ყველაზე უარესათ სჯეკნიდა და თელავდა ომის ღმერთის ქუსლი. ეს ქვეყნები იყვენ საიდუმლო ხელშეკრულობების საგანი რუსის მტარვალ მეფისა და ანტანტას გაუმაძღარ ბურჟუაზიულ მთავრობათა შორის. ახლა ეს ქვეყნები გადაქცეული არიან იმპერიალისტურ ომში გამარჯვებულ ინგლის-საფრანგეთ-იტალიის სალუკმოთ. ამ ქვეყნების გლეხებს და მუშებს „არკვევენ“ თავისი იმპერიალისტური ალაბით სჭრიან და აკრებენ, ცურდა ფულივით ატრიალებენ „კულტურული“ ევროპის მოძალადე ყაჩაღ-იმპერიალისტები. მშრომელნი ორნაირ მუხრუჭში მოექცნენ: მათ ამძიმებს საკუთარი გაბატონებული კლასების უღელი, მათვე დაწოლია საერთაშორისო ბურჟუაზიის ბატონობის მძიმე ლოდი. გმინავს ახლო აღმოსავლეთის მშრომელი მასსა, გმინავს და ერკვევა თანდათან მდგომარეობაში, იწყებს აჯანყებას თავის დამჩაგრელთა წინააღმდეგ, იწყებს პოლიტიკურათ დარაზმვას, მარა საუკუნოებით სულიერ სიბნელეში მყოფი, მოკლებული ყოველგვარ წყაროს თავის მუშური საქმის გასაუმჯობესებლათ, გამოცდილებას მოკლებული და ყოველმხრივ შევიწროებული, ის თითქოს ბნელაში აფათურებს ხელს, სავსებით ვერ არჩევს თავის მოკეთეს თავის მოსისხლე მტრებისაგან. შეგნების ელვამ უნდა გაანათოს ეს მდიდარი მასალა, კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობის შეგნება უნდა გახდეს ის მთავარი ღერძი, რომლის გარშემო თავს მოიყრის აღმოსავლეთის ორმაგ დაჩაგრული განაწამები მშრომელი ხალხი და შეებრძოლება თავის შინაურ და უცხო მტრებს ევროპის მუშათა კლასის რევოლიუციონური გამოცდილებით გამდიდრებული.

და აი, კომუნისტური ინტერნაციონალი, ეს სამხედრო-რევოლიუციონური შტაბი ყველა ქვეყნების მშრომელთა ინტერნაციონალი არა ლაყბობის, არამედ რევოლიუციონური მოქმედების და ბრძოლის, მოუხმობს ამ ქვეყნების წარმომადგენელთ 15 აგვისტოს ქ. ბაქოში კონგრესზე, რომელზედაც გამომუშავებული იქნება საერთო მოქმედების გეგმა მტაცებლურ ხროვის წინააღმდეგ. ეს ყრილობა ნიღაბს ჩამოგლეჯს ასეულ მილიონების დასანახათ იმ დამჩაგვრელებს, რომლებიც ფეხით თელავენ აღმოსავლეთის ხალხთა უფლებას, გამოამზეურებს იმ საარაკო ძალადობას, ცარცვა-გლეჯას, რომლებსაც განიცდიან დასავლეთის მშრომელთა აღმოსავლეთის ბედკრული ძმები. კომუნისტური ინტერნაციონალი იქნება ამ ყრილობის სულის ჩამდგმელი, ხელმძღვანელი და გზის მაჩვენებელი. დასავლეთის პროლეტარიატის—და პირველ ყოვლისა რევოლიუციონურ რუსეთის—მდიდარი გამოცდილება დაედება საფუძვლათ და გამოსავალ წერტილათ აღმოსავლეთის ხალხთა ამოძრავებას ჭეშმარიტ თავისუფლებისათვის, ჭეშმარიტ ძმობას სხვა და სხვა ხალხთა შორის; რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის ცოცხალი ბელადები გზას გაუშუქებენ დაჩაგრულ მიწის და ქალაქის მუშებს სპარსეთისა, არაბეთისა, ოსმალეთისა და სხ., მიუთითებენ საერთო მტრებზე, აარჩევინებენ საუკეთესო იარაღს მის წინააღმდეგ ჭეშმარიტათ, კომუნისტური ინტერნაციონალის ეს დაწყებულება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მტარებელია. „აღმოსავლეთის ფანატიკოსები“ ბაქოში მოახდენენ თათბირს და წინასწარ დაზვერვას, დასავლეთის მცარცველების ბანაკისას. დეე ძრწოდენ ესენი და მათი ადგილობრივი დამქაშნი,—აღმოსავლეთის მშრომელნი არაფერს დაკარგავენ ბრძოლაში, გარდა თავის აუტანელ ბორკილებისა, შეძენით კი შეიძენენ მთელს მიწას, მთელს ნაყოფს თავის შრომისას, [illegible] ლო კავშირს დასავლეთის მშრომელებთან. ისმის პირველი გრუხუნი რევოლიუციის მეხის წინამორბედი.

## შესაძლებელია ბალშევიკების გამემარჯვენება?

IV

რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის მესვეურებს ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი, რომ რუსეთში სოციალისტური რევოლიუცია, რა გინდ ადვილი არ ყოფილიყო მისი მოხდენა, საბოლოოდ ვერ გაიმარჯვებს, ვერ განმტკიცდება, თუ მას არ გამოეხმაურება პროლეტარული ევროპა. რომ რუსეთს შეეძლია და იძულებული(კაა მთელი რიგ გარდუვალ პირობებით დაიწყოს ეს რევოლიუცია, ხოლო მისი მოთავება, მისი დაგვირგვინება შეადგენს უფრო დაწინაურებულ ქვეყნების პროლეტარიატის მოწოდებას რუსმა დაიწყო, გერმანელი და ფრანგი განაგრძელებს, ხოლო ინგლისელი მოათავებს სოციალისტურ რევოლიუციასო,—ხშირად ამბობდა და სწერდა ნ. ლენინი. მარა ნიშნავს ეს, რომ რუსეთის რევოლიუციის ხელმძღვანელ პარტიის ტაქტიკა შეხამებული იყო სოციალისტურ აფეთქებასთან დასავლეთ ევროპაში განსაზღვრულ მომენტში? არა, ეს ასე რომ ყოფილიყო, ტაქტიკა სავსებით ყალბი გამოუსადეგარი და დამღუპველი გამოდგებოდა: რაკი რუსეთის რევოლიუციას არ გამოეხმაურებოდა დასავლეთში სოციალისტური რევოლიუცია ამა და ამ დღეს, კვირას თუ თვეში, იმ შემთხვევაში რუსეთის რევოლიუცია განწირული უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, და ვერც მოხდებოდა, რადგან ბალშევიკების ტაქტიკა შეფარდებული იყო და არის აუცილებელ სოციალისტურ გადატრიალებასთან დაწინაურებულ ქვეყნებში (თუ კაცობრიობას მთელის წინ მსვლელობა, და არა ბარბაროსობაში ჩავარდნა), მარა არა რომელიმე განსაზღვრულ მომენტში. დაიწყო ხანა, ეპოქა სოციალისტური რევოლიუციების, ეს ხანა შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე ათეული წლიწადი და რუსეთის რევოლიუციის წინ ამოცანაა როგორმე გაუძლოს საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციას, როგორმე მოიგერიოს მსოფლიო რეაქციის შეტევა პროლეტარულ რეჟიმზე და შეინარჩუნოს ეს რეჟიმი იმ მომენტამდე, როცა ევროპის რომელიმე ან რამდენიმე ქვეყანაში უეჭველი და უდავო რევოლიუციონური მდგომარეობა წარმოშობს რევოლიუციონურ კრიზისს. რუსეთის რევოლიუცია თავის-თავად, მისი არსებობაც კი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა, პროპაგანდა-აგიტაციისათვის ფასდაუდებელი მასალაა, მასსებში რევოლიუციონური საფუვრის როლის მატარებელია. მთელი ქვეყნიერების მშრომელნი მას შეჩერებიან, მას ბაძავენ ბრძოლაში და ბრძოლის მონაპოვართა განმტკიცების ფორმებში, როგორც სიტყვა „ბალშევიკი“ გახდა ჭეშმარიტათ საქვეყნო, ისე სიტყვები „დეპუტატთა საბჭო“, „საბჭოთა რესპუბლიკა“ და სხვა მოედვა მთელს დედამიწას, სადაც კი ბჟუტავს მაინც პოლიტიკური აზრი, სადაც მაშვრალნი და ტვირთმძიმენი ფიქრათ გაივლებენ არსებულ ძალადობის რეჟიმისაგან თავის დახწევას. ხოლო სა[illegible] სახელმწიფოს მესაჭეებათ ხდებიან, იქ უდაოთ, უყოყმანოთ ისინი იწყებენ „რუსულად ლაპარაკს“, აარსებენ საბჭოებს, ამყარებენ საბჭოთა რესპუბლიკას, მშრომელთა დიქტატურის ამ ახალ ნახულ, საუკეთესო ფორმას.

და მიტომაცაა, რომ საბჭოთა რუსეთის ფაქტის შემხედვარე მსოფლიო ბურჟუაზია შეძრწუნებული ეხეთქება ერთი მხრიდან მეორეს, მგლური სუნაგობით ეცემა მას, არ ზოგავს არავითარ საშუალებას, არავითარ ხარჯს მის ძირის გამოსათხრელათ; როგორც პაიკებს, ისე უსვეს მათ ხელქვეით, და ახალ გამოჩეკილ სახელმწიფოებს. მარა ვენგრიის და ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკებს გასრესის მეტი მათ ვერა დააკლეს რა აგორებულ სოციალისტურ რევოლიუციის ზღვას: რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ გალაშქრებაში მსოფლიო იმპერიალიზმი დამარცხდა საგრძნობლათ: საკუთარი წვრილი ბურჟუაზია, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ახლა ევროპის პარლამენტებში აშკარათ თანაუგრძნობს საბჭოთა რუსეთს ამ თანაგრძნობის გამოხატულებაა ის მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ანტანტას მთავრობები იძულებული შეიქნენ სამუდამოთ მოეცილებიათ რუსეთისგან თავისი მრავალჯერ ნაცემი ჯარები, ერთი სიტყვით, არ ჩარეულიყო რუსეთის შინაურ საქმეებში.

რასაკვირველია მტაცებლურ ბურჟუაზიის მომხრე და მსახური მთავრობები ჯერ კიდევ პოულობენ საშუალებას ხან პირდაპირი და ხან ფარული დახმარება გაუწიონ რუსეთზე თავდამსხმელ პოლონეთს, ბარონ ვრანგელს და სხ., მაგრამ ცხადია, რომ სამუდამოთ უნდა გამოეთხოვონ რუსეთის დამორჩილებას, რაკი წვრილი ბურჟუაზიაც კი რუსეთის რევოლიუციის ქომაგი გახდა. მარა არსებობს მეორე უფრო დიდ მნიშვნელოვანი ფაქტორი იმპერიალისტების სისხლმოწყურებულ მადის განელებისათვის: ესაა დასავლეთის პროლეტარიატი. პოლიტიკურათ გა[illegible]ნილ და გამრყვნელ სოციალ-შოვინისტ[illegible] ლიდერებს, რომელთაც ითამაშეს უკვე [illegible]ლი და ერთხელ უკვე გადაარჩინეს დ[illegible] კაპიტალისტური რეჟიმი დაღუპვისაგან, ახლა უჯარო გენერლებათ დარჩენ და ბურჟუაზიის ამალაში მოექცენ აშკარათ. ისინი გაიხრწნენ მეორე ინტერნაციონალის გახრწნასთან ერთად, რაც აშკარა და ადვილი დასანახი გახდა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის აღორძინებისთანავე. რაც ცოცხალი და რევოლიუციის მირონით ცხებულია მსოფლიო პროლეტარიატში—მიეკედლა ამ ინტერნაციონალს და მუშტი (ჯერ მარტო მუშტი) მოიღერა მთავრობების წინააღმდეგ, გამოუცხადა მათ თავის მხრით ბლოკადა, არ უშვებს რუსეთის წინააღმდეგ არავითარ სამხედრო მასალას. რასაკვირველია ეს ცოტაა, მარა ხაზი უკვე აღებულია, პროლეტარული ბათალიონების საომრათ დაწყობის და მზადების ჩხარა-ჩხური უკვე ესმის მთავრობებს, რომლებმაც რამდენჯერმე შესძლეს რუსეთის საშველათ განზრახული საერთო გაფიცვების ჩაშლა, ხოლო მომავალი არ უქადის მათ არაფერ საიმედოს. ევროპის პროლეტარიატის სამზადისი რევოლიუციონურ შეტევისათვის—აი მსოფლიო რევოლიუციის ახლანდელი საფე[illegible] სავსებით უზრუნველყოფილია, აქედან დახმარება—მხოლოდ დროს საკითხია.

რუსეთის რევოლიუციას ჰყავს კიდევ დამხმარე ესაა აღმოსავლეთის და საერთოდ დაჩაგრული ქვეყნების მრავალ-მილიონიანი ხალხები. ის მუშაობა, რაც რუსეთის ბალშევიკებმა გასწიეს აღმოსავლეთის გამოსაღვიძებლათ და იმპერიალიზმის წინააღმდეგ გასალაშქრებლად განუზომელი მნიშვნელობისაა. შედეგია ის, რომ ყაჩაღურ მთავრობების მეთაური ინგლისის მთავრობა, რომელსაც თვალწინ უდგას აჩრდილი აჯანყებულ კოლონიების, ნამეტურ ინდოეთის და ეგვიპტესი, იძულებულია დიდი ხნის მანჭვა-გრეხის შემდეგ შეეცადოს საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრას. ზავი იქნება კიდეც, მარა ვინ მოიგებს მისგან? ამ კითხვაზე პასუხიც არაა საჭირო. ბაქოში განზრახული კონგრესი ახლო აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხთა მაჩვენებელია თუ ვინ იმარჯვებს და ვინ გაიმარჯვებს: დასავლეთის იმპერიალიზმი, თუ აღმოსავლეთის რევოლიუცია. და ის ზავი, რომელიც სწყურია რუსეთსაც, მხოლოდ რევოლიუციის გამარჯვებას უწყობს ხელს. და რა სასაცილოა ის მეტის მეტათ ჭკუამახვილი ხალხი, რომელიც ვითომ და მართლა აჯერებს თავის თავს, და სხვასაც, რო ბალშევიკები გამემარჯვენდებიან, ისინი უკვე გამემარჯვენდენ, რა კი საგარეო ვალების გადახდა იკისრესო! პარტია, რომელმაც სრული არა თუ მოინელა ბრესტის ზავი, პირიქით იმპერიალიზმის შესანგრევათ გამოიყენა, ეს პარტია გამემარჯვენდება, რაკი მსოფლიო რევოლიუციის უკვე მოახლოვების დღეებში ვადუგდოს კაპიტალის ნაგაზებს „ხელმოწერილი“ თამასუქი? რა უძლურებაა, რა დაჩიავებაა „აზრის“—თუმც წვრილ ბურჟუაზიულ ტვინის კოლოფის ნაყოფი იყოს ეს აზრი!

ამ რიგათ, ბალშევიკების გამემარჯვენება შეუძლებელია, ზღაპარია. ისინი გაიმარჯვებენ ან მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციასთან ერთად, რომლის ხანა უკვე დაიწყო, ხოლო მისი გაჩაღება და დასრულება ფართო მაშტაბით წლების და ათეულ წლების საქმეა, ან და დაეცემიან გამარჯვებულ მსოფლიო რეაქციის მახვილის ქვეშ.. „გამემარჯვენებას“ მათ არავინ დაანებებს. ძველი საზოგადოების „ქოფაქი ძაღლები, ღორები და მგლები“ (მარქსის სიტყვებია) შეესევა პროლეტარიატს და მის პარტიას: ბურჟუაზიულ-პომეშჩიკური დიქტატურა სისხლში ჩაახრჩობს პროლეტარიატის დიქტატურას. მესამე გამოსავალი შეუძლებელია, „დემოკრატიული“ შუა ოქრო-ადგილი და წონასწორობა დამფრთხალ წვრილბურჟუაზიის ოცნებაა თუ ჩმახვაა. თუ კაცობრიობას „უწერია“ წინსვლა და სისხლიან იმპერიალისტურ ჩიხიდან გამოსვლა, და არა ველურობის ხანაში დაბრუნება სოციალიზმის გამარჯვება ყოვლათ აუცილებელია, აუცილებელია მაშასადამე ბალშევიზმის გამარჯვება მსოფლიოს მაშტაბით

მ. ქ.

შეცდომის გასწორება: წინა წერილში „საქ. კომ. № 24, 1 გვერდის მესამე სვეტში, მე-17 სტრიქ. სწერია: ხელის გაკაწვრა უნდა იყოს „თითის გაკაწვრათ“.

## ადგილობრივი პრესა*)

ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციების განადგურება დაისახეს მენშევიკებმა მიზნათ და კიდეც მუშაობენ—სათითაოდ და ჯგუფ-ჯგუფათ იჭერენ, ციხეში აგდებენ ანდა რესპუბლიკის საზღვრებიდან ერეკებიან ჩვენს ამხანაგებს, პასუხისმგებელ მუშაკებს, კომიტეტების წევრებს და ორგანიზატორებს. მათი გეგმა შეიცავს ჩვენი მუშაობის მოშლას არა პირდაპირი საშუალებითაც: ციხეში ყავთ გამომწყვდეული უკვე ორი მდივანი და მთავარი თანამშრომელი ჩვენი გაზეთის—თ. ჟღენტი და ვ. ბახტაძე, იქითვე გაისტუმრეს კორექტორიც, აგენტები მოსვენებას არ აძლევენ და ემუქრებიან დაჭერით რედაქციის დამლაგებელსაც კი. ამ გზით სურთ მენშევიკებს „ბუნებრივი სიკვდილით“ მოკლან ჩვენი გაზეთები, ჯერჯერობით არ ხურავენ მათ, უფრო მიხვეულ-მოხვეულია ეს გზა, მარა სამაგიეროთ ნაყოფიერი: როცა თანამშრომელთა დაჭერით სისხლიდან დაწრეტილი გაზეთი იძულებული შეიქნება „ლიტერატურო სასაფლაოზე“ თითონვე გაემგზავროს, რა ხითხითის, რა ჰინკების კივილის გამგონე შევიქნებით: აი კომუნისტები „სრული ლეგალური არსებობით“ არიან ჩვენგან დაჯილდოვებული, მარა მათ არც „იდეური“ ძალები ყავთ, და არც მკითხველები, ჩვენ არ დაგვიხურია მათი გაზეთი, მათ თითონვე შეაჩერესო. თუმცა, როგორც გუშინდელი გაზეთებიდან სჩანს, მოსალოდნელია სრული ლიკვიდაცია ჩვენი პარტიის და მისი დაწესებულებების უფრო მოკლე და პირდაპირი გზითაც: უკანასკნელად დაკავებულ ჩვენს ამხანაგებს მიახალეს ბრალდება—კომუნისტები ხართ და მიტომ დაგაკავეთო! მართალია, ეს ბრალდება შეცვლილი იქნება, როცა „კვლევა—ძიება“-ს მოათავებენ ვითომ, რათა ტრაფარეტული ბრალდება—ჯარში აგიტაცია და შეიარაღებული აჯანყების მზადება მოახვიონ თავზე მაგალითად ჩვენი რედაქციის მდივანს და თანამშრომელს ვ. ბახტაძეს, რომელიც დღე და[illegible]

*) დაწერილია 18 ივლისის №-ისთვის.

[...]რამ რედაქციაში იმყოფებოდა, სასადილოთ თუ გავიდოდა შენობიდან. რომ [...]დაწყვეტილია სრული გასრესა ჩვენი [...], ამის მერცხალია თუნდა [...]„[...]უზიას“ მოწინავე, რომელიც [...]ბილებულად იმეორებს სიტყვასიტყვით მენშევიკების „საბუთებს“:

„კომუნისტური პარტია—სწერს გაზეთი—როგორც ეს აშკარა შეიქნა ჩვენი შინაგანი მინისტრის სიტყვიდან პროფ. ორგანიზაციების კრებაზე, აწარმოებს სისტემატიურათ სახელმწიფოს საწინააღმდეგო მუშაობას, ავრცელებს პროკლამაციებს. ამზადებს ბომბებს და სხვა იარაღს, აგიტაციას ეწევა ჯარებში მცხოვრებელთა ნაკლებ შეგნებულ ელემენტებში“...

და ბოლოს:

„ჩვენს მთავრობას, რომელმაც დოკუმენტალურათ დაამტკიცა სისტემატიური ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობა კომუნისტური პარტიის, სრული უფლება აქვს, საბჭოთა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობის ნიადაგზე დარჩენითაც კი, წარადგინოს ეს დამამტკიცებელი დოკუმენტები, როგორც უდაო საბუთი იმის, რომ შეუძლებელია თავის ტერიტორიაზე მან მოითმინოს ასეთი ორგანიზაციის ლეგალური არსებობა“..

როგორც ხედავთ ბოქმედების პროგრამა გამომუშავებულია, ის დიდი ხანია ტარდება ცხოვრებაში და მის „დასაბუთებას“ ეწევა „ერთობა-ბორბასთან“ ერთად, შავრაზმელთა „გრუზიაც“.

* * *

არც „სახალხო საქმეს“ სურს უკან ჩამორჩენა და ვითარცა „საზოგადოებრივ აზრის“ გამომხატველი მეცამეტე გოჭი აი როგორ პაგრომშჩიკურათ იფიცება:

„ომი, აზერბეიჯანმა რომ მოახვია საქართველოს, არსებითად იყო კომუნისტური პარტიის ომი ქართველი მშრომელი ხალხის წინააღმდეგ, რადგანაც კომუნისტური პარტია თავისი ორგანოებით წარმოადგენს და სავსებით ჰფარავს იმ სახელმწიფოს, რომლის სათავეშიაც იგი სდგას. ამიტომ თუმცა ფორმალურად საქართველოს წინააღმდეგ შეტევას აწარმოებდა აზერბეიჯანი, ამ [...] [...]ლობას ვერ აირიდებს საზოგადოდ კომუნისტური პარტია მთლიანად და კერძოდ მისი ორგანიზაციები. რანაირი იარლიკიც არ უნდა მიიკრას ამ უკანასკნელმა—საქართველოს კომუნისტური პარტიისა თუ აზერბეიჯანისა“.

და ღეჭავს რა მეათეჯერ განჯის ყალბ და პროვოკაციულ დეპეშას. „გაზეთი საკმაო სიცხადით მოითხოვს“ ჩვენს ლიკვიდაციას:

„მაგრამ ჩვენ გვსურს გავიგოთ ჩვენის ხელის უფალთაგან: როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა? განა დრო არ არის ბოლო მოეღოს ერებს შორის ერთი მეორეზე ამხედრების, შუღლის დათესვას პოლიტიკას?“

ერთი მთლიანი რეაქციონური ბლოკი კომუნისტების წინააღმდეგ,—აი რის მომასწავებელია ეს შეხმატკბილებული გოდება და კივილი „ერთობა-სახალხო-გრუზია“-სი. ხომ მოგეხსენებათ: Медведь корову дерет и сам же ревет!

# საბჭოთა რუსეთის პრესა.

## საქმის ინტერნაციონალი.

(გაზ. „პრავდა“-დან № 111)

ინგლისის მუშები თავის უმრავლესობაში არ ეკუთვნიან მესამე ინტერნაციონალს. ინგლისში მას ეკუთვნის მხოლოთ, ბრიტანეთის სოციალისტური პარტია და რამოდენიმე მცირე ჯგუფი, რომელნიც მუშაობენ შოტლანდიაში და სამხრეთ-უელსში. კიდევ მეტი, ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტია, რომელსაც ეკუთვნის უმრავლესობა სოციალისტურათ განწყობილი ინგლისის ტრედ-უნიონისტები მე-III ინტერნაციონალს არ ეკუთვნის. მან, მხოლოთ ახლა გადაწყვიტა თავის სიეზდზე გავიდეს მე-II ინტერნაციონალიდან. მხოლოთ მესამედი ნაწილი ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიისა მოითხოვს შეერთებას მე-III ინტერნაციონალთან. მიუხედავათ ამისა, ინგლისის მუშები იმ ზომით, რა ზომითაც მწვავდება იმათი ბრძოლა, თავის საკუთარ ბურჟუაზიასთან, სწავლობს საქმით იყოს ინტერნაციონალისტი. საქმით ინტერნაციონალისტი რომ იყო, ეს იმას მოასწავებს, არ დაკმაყოფილდე პროტესტების რეზოლიუციებით ბურჟუაზიის ბოროტების წინააღმდეგ, არამედ იმოქმედო მის წინააღმდეგ მასსიური მოქმედებით, დარტყმით ზედ მტკივან ადგილას კაპიტალისტურ კონტრ-[...] [...] ინგლისის მუშები დღემდის პროტესტს აცხადებდნენ მხოლოთ კონტრ-რევოლიუციონურ დაცემისათვის საბჭოთა რუსეთზე. მათი მეოხებით საზოგადოების აზრის შელახვამ ჩვენ დიდი სარგებლობა მოგვიტანა, მაგრამ არ არის საეჭვო, შედარებით იმ ყუმბარეებთან, რომელიც გამოგვიგზავნა ინგლისის ზარბაზნებმა კრონშტადტის წინააღმდეგ, ინგლისის მუშათა სიტყვა პროტესტის იყო არა საკმარისი. საბჭოთა რუსეთზე პოლონეთის შეტევამ გამოიწვია გულისწყრომა ინგლისის მუშათა შორის, ვინაიდან მშვენივრათ ხედავდნენ, რომ საბჭოთა რუსეთი პატიოსნათ ითხოვდა პოლონელთან ზავს. რომ ის მიდიოდა ყოველგვარ დათმობაზე, ოღონდ მოეპოვებია რუსეთის მუშათა ხალხისათვის შესაძლებელი შემოქმედებითი მუშაობის დასაწყებათ ზავი. მათ უკვე იციან, რომ ამ დაცემის მიზანია ცარცვა-დატაცება, მათ იციან, რომ ამ დაცემაში პოლონეთს ხელს უწყობს სამხედრო პარტია ინგლისის. ამისათვის ინგლისის მუშებმა გადაწყვიტეს არ დაკმაყოფილდენ მარტო პროტესტებით. აკი პოლონეთის შემოსევის გამო საბჭოთა რუსეთზედ პროტესტს აცხადებს თვით ვაჭართა წრეც, რომელსაც ეს შემოსევა ხელს უშლის მოაწყოს ვაჭრობა რუსეთთან. ინგლისის მუშებმა, რომლებიც მუშაობენ „დოკზედ“, გადასწყვიტეს, რომ იმოქმედონ და „სიეზდმა“ მიიღო ერთხმათ დადგენილება: რომ არც ერთმა მუშამ არ დატვირთოს გემები, რომლებსაც მიაქვთ პოლონეთში იარაღი ან სურსათი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს დადგენილება იქნება შესრულებული და ჩვენ გვჯერა რომ ის პოებს გამოძახილს სხვა ქვეყნის „დოკზე“ და ტრანსპორტზე მომუშავეთა შორის, რაც პოლონეთის ბლოკადით გამოიხატა და რაც მიიღო თავის მოწოდებაში მე-3 ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა. ეს მოასწავებს საქმით შესვლას მე-3 ინტერნაციონალში. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მუშები საქმით შევიდენ მე-3 ინტერნაციონალში, მათი ფორმალურად შესვლას აქვს მნიშვნელობა მათთვისაც და მე-3 ინტერნაცინალისტვისაც. ჩვენ რჩევას ვაძლევთ, ისწავლონ ეს ფაქტი ყველამ, ვინც ჩვენ გვეკითხება, რა განსხვავებაა მეორე და მესამე ინტერნაციონალთა შორისო. ნაწილი მე II ინტ. ზურგ უმაგრებს და ეხმარება თავის საკუთარ ბურჟუაზიას, ის ცხადათ თუ [...]. მაგრამ მაინც ეხმარება.

მაგალითად: პოლონეთის სოციალისტური პარტია დაეხმარა მარშალ პილსუდსკის იმით, რომ პოლონეთის თავდასხმის დროს საბჭოთა რუსეთზე მან თავისი სამშვიდობო დეკლარაციებით ჯერ მიაძინა მშრომელი მასსა და შემდეგ გადამჭრელი მომენტის დროს, იძულებული შეიქმნა დათანხმებულიყო პილსუდსკის პოლიტიკას. ბატონი გენდერსონი ერთი ბელადთაგანი მე-2 ინტერნაც. ცხადია, სიტყვით უგზავნის რიხსვას ინგლისის სიმხეცეს ირლანდიაში, მაგრამ საქმით კი დახმარებას უწევს ინგლისის მთავრობას ამ სიმხეცეში, ვინაიდან ის არ მოუწოდებს ინგლისის მუშებს, რომ შესწყვიტონ გადაყვანა ინგლისის ჯარის ირლანდიაში. ის არ მოუწოდებს ინგლისის სალდათებს, რათა იმის მაგივრათ, რომ ხოცონ ირლანდიის მუშები, მოაბრუნონ იარაღი ინგლისის „შაიკის“ წინააღმდეგ, რომელნიც აგერ 300 წელია სვამენ ირლანდიის ხალხის სისხლს. ბატ. გენდერსონი, რომელიც ამბობს სიტყვას ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ რუსეთში, დიპლომატიურათ ეს ძლიერ მშვენიერია. ის არასოდეს არ უწოდებს გაცარცვას ძარცვას, წართმევას წართმევას, ბანდიტობას ბანდიტობას. მაგრამ ბატ. გენდერსონი, როდესაც წაიკითხავდა რეზოლიუციას „დოკზედ“ მომუშავეებისას, რომლითაც ისინი უარს აცხადებენ დატვირთონ გემები პოლონეთში მიმავალი, ალბათ თავისთვის იტყოდა: ეს ხომ ხმარებაა ეკონომიური საშვალების პოლიტიკური მიზნის მისაღწევათ. და დიპლომატიური მიზანს დჟენტლმენები ნახევრათ ცილინდროსნები და ცილინდროსნებიც პოულობენ მხოლოთ პარლამენტში და მიტინგებზედ ხმების შეძენაში. კულისების უკან ან და ვაჭრობთ. მაგრამ ინგლისის მუშებმა დჟენტლმენობა დატოვეს, დაუბრუნდე იმ დროს როდესაც ინგლისის ლუდის მომხმარშველები შეხვდნენ რა ლონდონის ქუჩაზე ავსტრიის გენერალს-იტალიის ხალხის ჯალათს და ისე, მაგრათ მიტყეპეს რომ საწყალი გმირი ძლივს გადარჩა სიკვდილს. ინგლისის მუშები მიდიან იმ დასკვნამდის, რაც მე-3 ინტერნაციონალის პრინციპს შე[...] [...] ისინი იწყებენ ცნობას, რომ ინტერნაციონალი, რომელიც მარტო ჰაერს ამოძრავებს და რომელიც [...]ცნობს რევოლიუციონურ ბრძოლას, ის ლაყე კვერცხათაც აღარ ღირს.

---

ფრიდრიხ ენგელსი.

# კომუნიზმის პრინციპები.

(„კომუნისტური მანიფესტის“ პირვანდელი პროექტი).

**1 კითხვა.** რა არის კომუნიზმი?

**პასუხი:** კომუნიზმი არის მოძღვრება იმის შესახებ, თუ რა პირობებში უნდა მოხდეს პროლეტარიატის განთავისუფლება.

**2 კითხვა,** რა არის პროლეტარიატი?

**პასუხი:** პროლეტარიატი საზოგადოების ის კლასია, რომელიც პოულობს საარსებო საშვალებებს განსაკუთრებით და მხოლოდ თავისი შრომის გაყიდვით და არა რომელ კაპიტალის შემოსავლით; პროლეტარიატი ეს ის კლასია, რომლის კეთილდღეობა და დაბეჩავება, სიცოცხლე და სიკვდილი, მთელი არსებობა დამოკიდებულია შრომის მოთხოვნილებაზე, ე. ი. საქმეების შეჩერებისა და გაცხოველების შეცვლაზე, უწესრიგო კონკურენციის ქანაობაზე. ერთი სიტყვით, პროლეტარიატი ანუ პროლეტარების კლასი არის მეცხრამეტე საუკუნის (და ახლანდელი დროის) მუშათა [...]

[...]კითხვა მაშ, პროლეტარები ყოველთვის არ არსებობდენ?

**პასუხი:** არა. ღარიბი და მშრომელი კლასები ყოველთვის იყვნენ; უმთავრეს ნაწილათ მშრომელი კლასები აგრეთვე ღარიბიც იყვნენ. მაგრამ ისეთი ღატაკები, ისეთი მუშები, რომლებსაც ზემოთ დასახელებულ პირობებში ეცხოვრათ, წინეთ არა იყვნენ, მაშასადამე, პროლეტარები არ არსებობდენ ყოველთვის, სწორეთ ისე, როგორც არ იყო ყოველთვის თავისუფალი და მოუწესრიგებელი კონკურენცია.

**4 კითხვა:** როგორ გაჩნდა პროლეტარიატი?

**პასუხი.** პროლეტარიატი გაჩნდა მრეწველობაში რევოლიუციის გამო, რომელიც მოხდა ინგლისში წარ. მე—18 საუკუნის მეორე ნახევარში და განმეორდა შემდეგ მსოფლიოს ყველა ცივილიზაციის მქონე ქვეყნებში. ეს რევოლიუცია მრეწველობაში გამოიწვია ორთქლის მანქანის, სართავ მანქანების, მექანიკურ საქსოვ დაზგის გამოგონებამ და მთელი რიგი სხვა მექანიკურ იარაღების გაუმჯობესებამ. ამ მანქანებმა, რაც ძალიან ძვირი ღირდა და ამიტომ მათი შეძენა მხოლოდ მსხვილ კაპიტალისტებს შეეძლოთ, შესცვალეს მთელი წინანდელი წარმოების წესი და თანდათან გამოდევნეს წინანდელი მუშები. რადგან მანქანები ამზადებდენ საქონელს უფრო კარგათ და იაფათ, ვიდრე მუშები თავისი ძველებური სართავებით და საქსოვ დაზგებით. ამ მანქანების შემწეობით მთელი მრეწველობა კაპიტალისტების ხელში გადავიდა და სრულიად დაეკარგა ფასი მუშების წვრილ საკუთრებას (სამუშაო იარაღები, საქსოვი დაზგები და სხვა), ისე რომ მალე კაპიტალისტებმა ყველაფერი თავიანთ ხელში ჩაიგდეს და მოუსპეს მუშებს უკანასკნელი ქონებაც. ამავე დროს სხვა და სხვა შალეულობის დასამზადებლათ შემოღებულ იქნა ფაბრიკული სისტემა. პირველი მუჯლუგუნის მიღების თანავე მანქანების შემოღებამ და ფაბრიკულმა სისტემამ გასავალი ნახა აგრეთვე მრეწველობის ყველა სხვა დარგებში, სასტამბო საქმეში და ლითოგრაფიაში, თიხის და ლითონის დასამუშავებელ მრეწველობაში. შრომა სულ უფრო და უფრო ნაწილდებოდა ცალკე მუშებს შორის, ისე რომ მუშამ, რომელიც წინეთ მთელ სამუშაოს აწარმოებდა, დაიწყო მხოლოთ მისი ნაწილის წარმოება. ამ შრომის განაწილებამ შესაძლებელი გახადა ის რომ ნაწარმოები უფრო ჩქარა და იაფათ მზადდება. მისი შემწეობით ცალკე მუშის მოქმედება გამოიხატება სულ მარტივ მექანიკურ მოძრაობათა განუწყვეტელ განმეორებაში, იმ მოძრაობათა, რომლებიც მანქანების შემწეობით წარმოებენ არა თუ ისევე კარგათ, არამედ კიდევ უფრო უკეთესადაც, ვიდრე წინათ. ამ რიგათ, მრეწველობის ყველა დარგები თან და თან ორთქლის ძალის, სამანქანო ტეხნიკის და ფაბრიკულ სისტემის ბრჭყალებში მოექცა, სწორეთ ისე, როგორც დართვა—ქსოვის საქმე. ამასთანავე მათ სულ ერთიანად დაეპატრონენ მსხვილი კაპიტალისტები, და მუშებს ხელიდან გამოეცალათ დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნაშთიც. ყოველგან, წმინდა მანუფაქტურას გარდა, ხელოსნობაც ფაბრიკულ სისტემის ბრჭყალებში ჩავარდა, რადგანაც მსხვილი კაპიტალისტები აარსებენ რა მსხვილ სახელოსნოებს, რაც ხარჯებს ამოკლებდა და შრომას ანაწილებდა, სულ უფრო და უფრო ავიწროებდენ წვრილ ხელოსნებს.

ასე ჩვენ მივაღწიეთ იქამდის, რომ განათლებულ ქვეყნებში შრომის თითქმის ყველა დარგებში შემოღებულ იქმნა ფაბრიკული სისტემა, შრომის ყველა დარგებში ხელოსნობა და მანუფაქტურა უკან დასწია მსხვილმა მრეწველობამ და მისი ალაგი დაიჭირა.

ამის გამო, წინანდელი საშუალო წოდება, განსაკუთრებით წვრილი ხელოსნები და ქარგლები, გალატაკდა, სავსებით შერყეულ იქმნა მუშების წინანდელი მდგომარეობა და გაჩნდა ორი ახალი კლასი, რომელიც ყოველგან შთანთქავს ყველა დანარჩენ კლასებს.

I. კლასი მსხვილი კაპიტალისტების, რომლებიც ახლანდელ დროში ყველა განათლებულ ქვეყნებში მესაკუთრენი არიან ყველა საარსებო საშუალებების და მათ დასამზადებლად აუცილებელ, საჭირო ნედლი მასალების და ინსტრუმენტების (მანქანა, ფაბრიკა) ესაა ბურჟუების კლასი ანუ ბურჟუაზია.

II. კლასი ქონებას სრულებით მოკლებულთა, რომლებიც იძულებული არიან მიჰყიდონ თავისი შრომა ბურჟუაზიას, რომ მიიღონ მათთვის აუცილებელი საარსებო საშუალება. ამ კლასს ეწოდება **პროლეტარების** კლასი ანუ **პროლეტარიატი.**

**5. კითხვა:** როგორ პირობებში უხდებათ პროლეტარებს შრომის გაყიდვა ბურჟუაზიისადმი?

**პასუხი:** შრომა არის იგივე საქონელი, როგორც ყოველი სხვა საქონელი და მისი ფასი განისაზღვრება სწორედ იმავე კანონებით, როგორც ყოველი სხვა საქონლის ფასი. საქონლის ფასი მსხვილი მრეწველობის ანუ თავისუფალ კონკურენციის—რაც, როგორც დავინახეთ ერთი და იგივეა—ბატონობის დროს საშუალოდ ყოველთვის უთანასწორდება ამ საქონლის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს. შრომის ფასი, მაშასადამე, უთანასწორდება ამა თუ იმ საქონლის წარმოების ხარჯებს, შრომის *) წარმოების ხარჯები კი განისაზღვრება იმ საარსებო საშვალებათა რაოდენობით, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მუშას არ დაეკარგოს შრომის უნარი და მუშათა კლასი არ გადაშენდეს. მუშა, მაშასადამე, არ ღებულობს თავის შრომაში იმაზე მეტს, რაც აუცილებელია ამ მიზნისთვის. შრომის ფასი ანუ სამუშაო ქირა არის სულ უმცირესი, მინიმუმი იმის, რაც აუცილებლათ საჭიროა არსებობის შესანარჩუნებლათ.. 2) იმის და მიხედვით—კარგათ მიდის საქმეები თუ ცუდათ, ის ღებულობს ხან ნაკლებს და ხან მეტს, რაიც იმაზეა დამოკიდებული—მეტს თუ ნაკლებს ღებულობს მექარხნე თავის საქონელში. მაგრამ როგორც მექარხნე ღებულობს თავის საქონელში, როგორც ცუდ ისე ხელსაყრელ დროს, საშვალოთ წარმოების ხარჯებზე არც მეტს და არც [...]

*) გამოცემის რედაქტორის (ედ. ბერშტეინის) საჭირო შენიშვნები ბოლოს იქნება მოყვანილი.

[illegible]

ნეთის ურთი ერთი ვალდებულობა, რომ ერთმანეთის შინაურ საქმეებში არ ჩაერიონ და ჩვენი თანხმობის მიღების შემდეგ იგი არა თუ მარტო ერევა რუსეთის შინაურ საქმეებში, არამედ რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის ნაწილებს იგი საჩუქრად აძლევს ინგლისის იმპერიალიზმის მოსამსახურე ვიღაც გამვლელ-გამომვლელებს. არც ხალხთა ლიგა და არც ლორდ კერზონი არ არის მოწოდებული რუსეთის საბჭოთა ფედერაციის შინაურ საქმეებში ჩასარევად და იმ სამოქალაქო ომის მოსაწესრიგებლად, რომელიც მათ გამოიწვიეს და დაანთეს. დიდი ბრიტანეთის მთავრობის რაციო ნოტა ამტკიცებს იმ ნამდვილ მიზნებს რომელიც გამოიხატება ჩვენს წინააღმდეგ მოსეული პილსუდსკისა და ვრანგელის განადგურებისაგან გადარჩენაში, რათა ამგვარათ მათ მისცენ საშუალება შესვენებისა, შეიარაღებისა და საბჭ. რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ ახალ გამოლაშქრებისა. ჩვენ არ შეგვეძლო რუსეთისა და უკრაინის მშრომელი ხალხი ახალი ომის საშიშროების წინ დაგვეყენებინა. ჩვენ უარვყავით დიდი ბრიტანეთის შუამავლობა. ჩვენ თვალს არ ვხუჭავთ იმ საშინელ ისტორიაში არ ყოფილ ბოროტმოქმედებაზე, რომელსაც ხალხთა ლიგის ცბიერი სახელით ასალებენ: ჩვენი უარი მტრის შუამდგომლობაზე, არ ნიშნავს პოლონეთისადმი ჩვენ პოლიტიკის შეცვლას. საბჭოთა რუსეთმა გამოიჩინა ფრთხილი ყურადღება მცირე ერთა უფლებისადმი. ამის მაგათია ესტონეთი, საქართველო და ლიტვა. ამ ქვეყნებთან ჩვენ ზავი შევკარით ერთა ლიგის უშუამავლოთ. ფინეთთან, ლიტვასთან და სომხეთთან დაწყებული საზავო მოლაპარაკება ამ ახლო ხანში ქვეყნებთან მშვიდობიან დამოკიდებულების დამყარებას შეგვაძლებინებს. საბჭოთა მოსკოვმა არა ერთხელ მიმართა ვარშავას ზავის შესაკვრელათ, და თუ იგი ეხლა უშუამავლოდ მოგვმართავს ჩვენ, მაშინ რუსეთსა და პოლონეთს შორის უფრო ადრე საიმედო და მტკიცე ზავი დამყარდება. მიშინ პოლონეთის ნამდვილი საზღვარი იქნება ლონდონისა და პარიზის იმპერიალისტების მიერ დასახულ საზღვრის აღმოსავლეთით თუ პოლონეთის ხალხს სურს მიიღოს საპატიო ზავი და დამყაროს საპატიო საზღვარი რუსებთან, ამ თავის მოძმე ხალხთან, საჭიროა მან თვითონ მოინდომოს ეს.

# ცხოვრება

შრომის ქვეყანა წყვდიად ქვეშ კვნესოდა, იტანჯებოდა,
ბნელეთის მეფე-დემონი მძვინვარულობდა, ხარობდა,
ცა მიწას განრისხებოდა, ქუხა-ქუხილით უმტრობდა,
მნათობთა მეფის მეფობა ქვეყანას არც კი ჯეროდა.
მშრომელთა ქვეყნათ სისხლისა ნიაღვარები ცვივოდა,
სიცოცხლე ადამიანის გაუშლელათა ქვნებოდა,
ოხვრა და კვნესა მოძმისა მოძმესა ყურთ არ ესმოდა,
და ასე ყოფნის ქაოსში სიცოცხლე ტანჯვათ ქრებოდა.

ბნელეთს შეერყა სამეფო... საცაა უნდა გათენდეს,
აღმოსავლეთით ცისკარი შრომის სამეფოს ნათელს ფენს,
ილვიძებს შრომის ქვეყანა, ყოფნის ცრუ ზღაპრებს არ ისმენს,
თავისუფლების მზის სხივებს თვისკენ ეძახის ითვისებს,
ფრიალებს დროშა წითელი. ყიჟინა ისმის ბრძოლის:
„ბნელეთი უნდა დავამხოთ, სამეფო ბატონობისა,
ნანგრევზე უნდა ავაგოთ ტრფობის სასახლე ყოფნისა,
და თაყვანი ვცეთ დედოფალს სიყვარულის და ძმობისა.“

ხვალ დღე იქნება მზიანი, ბაღნარი გაიფურჩქნება,
ბულბული ვარდსა დაჰკოცნის და გულში ჩაეკონება,
მიდამო აოხრებული სამოთხეს დაემზგავსება,
მშრომელთა სადღესასწავლოთ ქვეყანა მოიკაზმება.
შრომის მონობის საფლავზე თამაში გაიმართება,
ქოხ მახთა ნანგრევებზედა კოშკები აიმართება,
ტრფობა სიძულვილს გააქრობს და ქვეყნათ ვაბატონდება,
მტრობის მაგიერ ძმობისა ალამი აფრიალდება.

**სანდრო ეული**

ს. ლამაჯი.

# პარტიული ცხოვრება.

**აფხაზეთის კომისარიატის მართველთა საყურადღებოთ.**

როდესაც გამოცხადდა ჩვენი პარტიის ლეგალიზაცია, და როდესაც ავირჩიეთ საქ. კომუნ. პარტიის დროებითი სოხუმის საოლქო კომიტეტი თანახმად პირობისა და ცენტ. კომიტეტის დადგენილებით, მაშინათვე სულ ყველა პასუხის მგებელი და მოწინავე ამხანაგეებში, გასწიონ სხვა და სხვა მაზრებში, რაიონებში რეგისტრაციის მოსახდენათ. მშრომელი გლეხები ბალშევიკების იდეურ მუშაობას დიდი სიხარულით და ალტაცებით შეხვდენ, არ გასულა სულ სამი დღე და, როგორც მშიერმა ქორმა ისე მოგვტაცეს სამი ამხანაგი. აგრეთვე გასცეს სასტიკი ბრძანება, სულ ყველა მაზრებში, რაიონებში და სოფლებში მომუშავე კომუნისტები აელაგმათ, მართლაც შეძლების დაგვარად სისრულეში მოიყვანეს. დეპეშები იყო სულ ყველა მაზრებში დაგზავნილი ბატ. შინაგან საქმეთა კომისრის განკარგულებით, რათა დატუსაღებულნი გამოეგზავნათ მის განკარგულებაში. ზოგიერთი ამხანაგები მაშინათვე შეიპყრეს და ოქმი ასეთი შეუყენეს:

„რადგანაც თქვენ გაგიწევიათ აგიტაცია-პროპაგანდა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, გითქვამთ რა გლეხები ჯარის კაცად არ გასულიყვენ, სახელმწიფო გადასახადი არ გადაეხადათ და სხვა ასეთები, ამისთვის ჩვენ ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს გიყოლიოთ დატუსაღებულიო, და თუ ეს არ გითქვამთ იმ შემთხვევაში კვლევა ძიება [illegible]“

დღეს ჩვენი ამხანაგები ციხეებში იმყოფებიან და უბრალოთ იტანჯებიან.

განა მთავრობამ არ იცის, რომ ჩვენი ამხანაგები არ არიან ასეთი საქმის ჩამდენი? განა არ იციან ასეთი პროვოკაცია საიდან გაჩნდა? განა ბატ. უბირიამ არ იცის ეს საქმეები ვისი შეთხზულია? რას პირდებიან ამხანაგებს თქვენი საქმეს გამოვიძიებთო, როდესაც არავითარი კვლევა ძიება ჩვენი ამხანაგების შესახებ არ წარმოებს, ან რა უნდა გამოიძიონ? ვინ იტყვის იმას, რაც არ თქმულა და რაც არ ყოფილა? მთავრობამ ეს სუყველაფერი კარგად იცის, მაგრამ უყურადღებოთ ტოვებს, რა უჭირთ მათ როდესაც ჩვენი ამხანაგები ციხეებში ეყოლებათ. ასეთი მოქცევით მათ ეგონათ, რომ ჩვენი პარტიული მუშაობას მიწასთან გაასწორებდენ, მაგრამ ნურას უკაცრავათ, პარტიული მუშაობა მთელ სოხუმის ოლქში გრძელდება. გლეხები ძალიანი შეაშინეს ციხეების გაგზავნის დამუქრებით, მაგრამ მათი მუქარას ჯერ ადგილი არა აქვს, და არც მომავლისთვის ადგილი ექნება.

მშრომელი გლეხებს არ ეშინიათ მათი მუქარისა და უფრო ერთგულად მიილტვიან სოციალური რევოლიუცის და ნამდვილი თავისუფლების მოსაპოვებლად. დღეს როდესაც, მშრომელი გლეხების, და მუშების ინტერესების დამცველებს აპატიმრებენ უდანაშაულოთ, ისინი უფრო თამამად და მედგრად ფიცს დებენ არ უღალატონ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე მუშების განთავისუფლების საქმეს და სალამს უძღვნიან სოციალისტური რევოლიუციის წინამძღოლ ამხანაგებს, ყველა კრებებზედ ასეთი რეზოლიუციები გამოაქვთ:

„გაუმარჯოს ჩვენი ინტერესის დამცველ გაზეთ „საქარ. კომუნისტს“ და მათი ხელმძღვანელ ამხანაგებს! გაუმარჯოს მთელი ქვეყნის სოციალისტური რევოლიუციას! გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშებსა და მშრომელ გლეხებს! ასეთია მდგომარეობაა გუმისტის მაზრაში სოხუმის ოლქში.

**სოხუმელი გრიშა**

## საქართვ. მუშათა დელეგაციის გაგზავნა, საბჭოთა რუსეთში

ხუთშაბათს, 22 ივლისს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალ. საბჭოს აღმ. კომიტეტის და თფილისის სეკრეტარიატის გაერთიანებულმა სხდომამ გადასწყვიტა საბჭოთა რუსეთში გაიგზავნოს საქართველოს მუშათა დელეგაცია (10 კაცი), რომელიც ადგილობრივ გაეცნობა იქაურ საქმის მდგომარეობას და პირობებს, რომელშიაც იმყოფება იქ მუშათა კლასი და, მეორეს მხრით, რუსეთის პროლეტარიატს გააცნობს საქართველოს მდგომარეობას; მის წესწყობილებას და ჩვენში მუშათა კლასის მდგომარეობას.

ამ მიზნით სხდომამ დაადგინა, აღიძრას შუამდგომლობა დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის წინაშე, რათა კანონმდებლობითი გზით გადაიდოს საჭირო თანხა ხსენებულ დელეგაციის გასაგზავნათ და დაევალოს აღმასრ. კომიტეტს დელეგაციის წევრთა ასარჩევათ ახლო მომავალში მოიწვიოს საქართ. პროფეს. კავშირების ცენტრალური საბჭოს და ამ ცენტრების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც ყრილობის შემდეგ შექმნილა.

[illegible]

მოკლეთ, ამ თუ იმ გზით შედის მქონებელ კლასის შემადგენლობაში და ერევა კონკურენციაში. პროლეტარი კი თავისუფლდება კონკურენციის, კერძო საკუთრების და ყველა კლასიურ განსხვავებათა მოსპობით.

**9 კითხვა:** რა განსხვავებაა პროლეტარსა და ხელოსანს შუა?

**პასუხი.** ამქრულ ხელოსნობის ბატონობის დროს ახალგაზდა შეგირდი დადებულ სწავლის ვადის გათავების შემდეგ, ჩვეულებრივად, დაქირავებული ქარგალი ხდებოდა, რათა რამდენიმე წლის შემდეგ ხელოსანი გამხდარიყო; პროლეტარი თითქმის ყოველთვის დაქირავებული მუშაა მთელს თავის სიცოცხლეში. ხელოსანი, სანამ ხაზეინი გახდებოდა, ხელოსანის ხელქვეითი და დამხმარე იყო, ცხოვრობდა იმავე სახლში, ჭამდა იმავე სუფრაზე პროლეტარი გადამბულია თავის ხაზეინთან მარტოოდენ ფულის დამოკიდებულებით; ქარგალი ეკუთვნოდა იმავე საზოგადოებრივ წრეს, რასაც მისი ხელოსანიც. და ზიარი იყო მისი ცხოვრების და ჩვეულებების; პროლეტარი საზოგადოებრივათ გამოყოფილია მის სამუშაოს მიმცემისაგან, კაპიტალისტურ მრეწველებისაგან მთელი რიგი კლასიური განსხვავებებით, ის ცხოვრობს სხვა წრეში, სრულიად სხვანაირად, ვიდრე კაპიტალისტი; მათი აზროვნობის წესი სრულიად სხვადასხვა ნაირია. ხელოსანი უმეტეს შემთხვევაში სარგებლობდა მუშაობის დროს საკუთარი ინსტრუმენტით (ხელსაწყო იარაღით) ან და ისეთი, რომლის შეძენა საკუთრებათ ყოველ შემთხვევაში ადვილათ შეეძლო მას; პროლეტარი მუშაობს მანქანაზე ან და მთელ რიგ შეერთებულ მანქანების ნაწილზე, რომელიც არ არის და არც შეიძლება იყოს მისი საკუთრება. ხელოსანი უმთავრეს ნაწილათ ამზადებდა რომელიმე მოსახმარ საგანს მთლიანათ და პროდუქტის თვისების სიკარგისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როგორი მოხერხებით ხმარობდა ხელოსანი თავის ინსტრუმენტს;

პროლეტარი უმთავრეს ნაწილათ ამზადებს მხოლოთ ნაწილს რომელიმე საგნისას ან მონაწილეობას ღებულობს რომელიმე ნაწილის დამუშავების მხოლოდ ნაწილობრივ პროცესში, და მისი პირადი ცოდნა და მოხერხება მანქანის მუშაობის დროს უკანა რიგზე დგება და მნიშვნელობა აქვს უფრო მის მიერ დასამზადებელ ნაწილების რაოდენობისათვის, და არა მათი თვისების გაუმჯობესებისათვის.

ქარგალიც ისე, როგორც მისი ხელოსანიც მთელ თავის სიცოცხლეში დაცული იყო ამქრულ წესდებებით ან სახელოსნო ადათ-ჩვეულებებით კონკურენციის დამღუპველ გავლენისაგან. პროლეტარი უნდა გაერთიანდეს თავის ამხანაგებთან ან მიმართოს კანონის მფარველობას, რომ არ გასჭყლიტოს კონკურენციამ. მუშა-ხელის გამრავლება ბაზარზე მძიმე ტვირთად აწვება პროლეტარს და არა მის დამქირავებელ კაპიტალისტს ამქრის ქარგალს ისეთივე მცირე მოთხოვნილება ჰქონდა, ისეთივე კრიჟანგი იყო და კასტური სულით გაჟღენთილი, როგორც ხელოსანი, წინააღმდეგი იყო ყოველივე ახალის, პროლეტარი ყოველ წუთს აწყდება ისეთ გარემოებას, რომელიც არწმუნებს მას, რომ მისი კლასის ინტერესები ძირითადათ განსხვავდება კაპიტალისტთა კლასის ინტერესებისაგან—კასტიური სულისკვეთების ალაგას მასში ჩნდება შეგნება კლასიური და შეგნება იმის, რომ მისი კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების მონახვა შეიძლება მხოლოთ საზოგადოების პროგრესში. ამქრის ხელოსანი ყოველთვის, მაშინაც კი, როცა ის ბუნტობდა, და იქაც, სადაც ის ბუნტობდა, იყო რეაქციონერი; პროლეტარი სულ უფრო და უფრო იძულებულია რევოლიუციონერი გახდეს. საზოგადოების მიერ წინ გადადგმული პირველი ნაბიჯი, რომლის წინააღმდეგ აღსდგა რეაქციონური ხელოსნობა, იყო მანუფაქტურა, სახელოსნო დამორჩილება—როგორც ხელოსანის ისე ქარგლის სახით. —სავაჭრო (купеческiи) კაპიტალის მიერ, რომელიც შემდეგ გაიყო სავაჭრო (торговый) და სამრეწველო კაპიტალათ. (გამოცემის რედაქტორი).

10 კითხვა. რა განსხვავებაა მანუფაქტურის მუშასა და პროლეტარს შუა.

**პასუხი.** მეთექვსმეტე—მეთვრამეტე საუკუნეთა მანუფაქტურის მუშას თითქმის ყოველთვის ქონდა თავისი საკუთარი საწარმოვო ინსტრუმენტი, თავისი საკუთარი საქსოვი დაზგა, საკუთარი თვით სართავი, მიწის პატარა ნაჭერი, რომელზედაც ის მუშაობდა თავისუფალ დროს. პროლეტარს არაფერი ასეთი არ აქვს. მანუფაქტურის მუშა თითქმის მუდამ სოფელში ცხოვრობს და ცოტათ თუ ბევრათ პატრიარქალურ დამოკიდებულებაშია თავის მემამულესთან ან სამუშაოს მომცემთან; პროლეტარი უმეტეს ნაწილათ ცხოვრობს დიდ ქალაქებში და თავის სამუშაოს მომცემთან მარტოოდენ ფულის დამოკიდებულება აქვს. მანუფაქტურის მუშას მსხვილი მრეწველობა გლეჯს პატრიარქალურ ურთიერთობიდან, ის კარგავს უკანასკნელ საკუთრებას, რომელიც მას გააჩნდა, და თითონ ხდება პროლეტარი.

(გაგრძელება იქნება)

# ახალი ამბები

**ახალი გაზეთი.** ბათომი 7 ივლისი. საგანგებო კომისრის ნებართვით მოკლე ხანში გამოვა ყოველ კვირეული გაზეთი „ლაზისტანი“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ლაზები და აგრეთვე ზოგიერთი ქართველებიც. პასუხისმგებელ რედაქტორად იქნება: ქართული განყოფილების ი. დიდიძე და თურქულის და —ქურამე. გაზეთი გამოვა ოსმალურსა და ქართულ ენაზე.

**ფოთის რადიო სადგური.** კიმძნე-უბელი კრების კომისიამ მოიწონა პროექტი ფოთის რადიო სადგურის შენობისა და სხვა შენობათა ასაგებად საჭირო თანხის გადადების შესახებ.

**პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში.** ცენტრალურმა საბჭომ საკითხი დიდი ხნის განხილვის შემდეგ პროფესიონ. კავშირთა ცენტრ. საბჭოდან გამორიცხა მეტყავეთა კავშირი. ამასთანავე საბჭოს შემადგენლობაში მიიღეს მეტყავეთა ახალი კავშირი, რომელიც წინანდელ კავშირს გამოეყო. შემდეგ ცენტრ. საბჭომ თავის შემადგენლობაში ჟურნალისტების კავშირი მიიღო.

**მცხოვრებთა რეგისტრაცია.** კანონთა გადამსინჯავი კომისია საჩქაროდ შეუდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მცხოვრებთა რეგისტრაციისათვის შემუშავებულ კანონ-პროექტის განხილვას.

# მუშათა წერილები

## მენშევიკების სიყალბე.

როგორც ეტყობა, ნ. კიკნაძის მიერ კიროვისადმი მისალმება, მუშების სახელით 20 ივნისს, დღესაც მოსვენებას არ აძლევს ბ-ნ მენშევიკებს და ამიტომ არც ერთ შემთხვევას არ უშვებენ, რომ რაიმე ცილი არ დასწამონ და თავისებურად არ განმარტონ მისი გამოთქმული აზრი.

პირველად გამოილაშქრა „ბორბა ერთობაშ“, მათ ფეხის ხმას აჰყვნენ: ხელაძე, ლაცაბიძე, თამაზაშვილი და ძმათა მათნი, რომლებიც თავიანთ ხელმძღვანელ ორგანოებით, არ დაიშურეს თითო წიხლი ჩაეკრათ კიკნაძისათვის. „ბორბა-ერთობას“ მე არ მსურს გამოვეკამათო, ეს ჩემ საგანს არ წარმოადგენს დღეს. მე მხოლოდ მსურს, ვუპასუხო ზემო ჩამოთვლილ პირებს, მათ განცხადებებზე სხვა და სხვა დროს.

ივნისის შუა რიცხვებში (როგორც მახსოვს), გაზეთ „ერთობაში“ მოთავსებული იყო ხელაძის მიერ განცხადება თბილისის პროფ. კავშ. საბჭოს სეკრეტარიატის სახელით, სადაც ამბობს: „პროფეს. კავშირებში, არავითარი პარტიული ფრაქციები არ არსებობს“ და ჩვენსო, განაგრძობს ხელაძე „მუდამ ვებრძოდით, ვებრძვით და შევებრძოლებით ყველა ამგვარ მოვლენასო“, და დაასკვნის: „კიკნაძის განცხადება სიმართლეს მოკლებულიაო“.

გაზ. „ერთობის“ 149-ში არის აგრეთვე წერილი ლითონზე მომუშავეთა კავშირზე, რომელსაც ხელს აწერს ბატონი ლაცაბიძე. ის სწერს: „თბილისის პროლეტარიატმა კარგად იცის, რომ ეკონომიური კითხვები გადახლართულია პოლიტიკურზე, და ისიც კარგად იცის, როს ეს ორი კარდინალური საკითხები უნდა სხვა და სხვა ორგანიზაციებში გაირჩეს და თუ ორთავენი ერთად მოთავსდენ, მაშინ აუცილებლად ერთი მათგანი უნდა დაიჩრდილოს“, ამით ის არ კმაყოფილდება და ისე შორს მიდის, რომ ბუხარინსაც კი სწვდება და თავგამოდებით უკიჟინებს, რომ ბუხარინი მოუწოდებს მუშებს შექმნან კომუნისტური იაჩეიკები პრო- [illegible] დასძენს, რომ კიკნაძეს მისალმება კიროვისადმი კომუნისტების იაჩეიკების სახელით სიმართლეს მოკლებულია, რადგან თბილისის კავშირებში არავითარი პოლიტიკური იაჩეიკები არ არსებობსო და შემდეგ, როგორც შეეფერება ბატონ მენშევიკებს, არ გვაკლებს მენშევიკურ ლოცვა-კურთხევას.

„ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“ სწორედ ამ ვაჟბატონებზე ითქმის. თუ რომ მართლა კავშირებში არავითარ პოლიტიკურ კითხვებს არ უნდა ჰქონდეს ალაგი (უთუოდ განხეთქილების შიშით, რაც რა თქმა უნდა მავნებელია მუშებისათვის) და ყველა ებრძვით ამ მოვლენებს და გაჰყვირით ყველა ჯვარედინა გზაზე, რომ „პროფ. კავშირები ეკონომიური ორგანიზაციებია და მათი მუშაობა ამ ფარგლებს არ უნდა გასცდეს“ -ო. და ყოველივე უკმაყოფილებას მუშებს შორის თუ გინდ ეკონომიურს, როგორიც იყო რკინის გზელთა შორის ოთხ ივნისს, მაშინვე ბოლშევიკებს უნდა მოხვიოთ ხოლმე კისერზე. დაუშვათ ერთწუთით, რომ კავშირებში პოლიტიკურ შეხლა-შემოხლას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მაშ რითი აიხსნება ის, რომ რკინის გზელთა კონფერენციაზე ბერეჟიანი თავის მოხსენებაში ამბობს: „ჩვენ სატარიფო პალატაში ვადექით მართველი პარტიის ხაზს და მისთვის არ გვიღალატნიაო“ („ერთობა“ 148).

როგორც ვიცით ჩვენ, სატარიფო პალატაში კავშირები იმიტომ გზავნიან წარმომადგენლებს, რომ მათი კავშირის მუშების ინტერესები დაიცვან. ეს ასე ესმის ყველა მუშას. ბერეჟიანის სიტყვით ისინი იცავდენ მენშევიკურ პარტიის ინტერესებს.

როგორ მოგწონთ ეს? პარტიული მუშაობა არის ეს, თუ ეკონომიური? ავილოთ ეხლა უკანასკნელი მენშევიკების განგაში, იმ პროვოკაციული ცნობების შესახებ, რომელიც ბაქოს „კომუნისტში“ ყოფილა მოთავსებული ვიღაც უპასუხის მგებლო კორესპონდენტის მიერ. „საქართველოს კომუნისტმა“ № 18 ში ამის შესახებ გარკვეული პასუხი გასცა „ბორბა“-„ერთობას“ შეკითხვაზე. ჩვენსავე წინაამდეგ შეთითხნილ „პროვოკაციას. ეტყობა ამ გარკვეულმა პასუხმა ვერ დააკმაყოფილა პროფ. კავშ. „ეკონომიკის“ მატარებელნი და ამიტომ ჯერ პროფ კავშ აღმასრულებელმა კო—მა, თხოვნით მამართა მიეღო სათანადო ზომები ბაქოს კომუნისტების წინაამდეგ, რათა მათ სინდისიერათ შეასრულონ ხელშეკრულობა, წინაამდეგ შემთხვევაში—დასძენდენ: „ჩვენ მზათ ვართ ამ ფაქტს ანგარიში გაუწიოთ და შესაფერი დასკვნაც გამოვიყვანოთო“. („ერთობა“ 154). რა არის ეს? ბატონებო თუ არა ჩარევა სახელმწიფო საკითხებში—ეს ეკონომიური კითხვაა თუ პოლიტიკური?

ამას არ დასჯერდნენ „უპოლიტიკოთ—ეკონომისტები“ და მოიწვიეს შეერთებული პროფ. კავშ. გამგეობისა, საბჭოსი და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებისა, კრება რომელზედაც ხელაძე მოხსენებას აკეთებს და სხვათა შორის მედიდურათ ამბობს, რომ ადვილი შესაძლებელია შეიქნეს ისეთი მდგომარეობა როდესაც ჩვენ იძულებული ვიქნებით კვლავ იარაღს მივჰყოთ ხელი და ჩაგვაბან იმ ომში, რომელიც ჩვენ საერთოთ გვძაგსო.“ რა არის ეს ბატონო ხელაძევ? ეკონომიურ კითხვა არის თუ პოლიტიკურის აქ ბატონი თამაზაშვილიც არ ჩამორჩა თავის უფროს ამხანაგებს და თავისი ჩვეულებრივი ლაქიობა გამოიჩინა. იგი ამბობს: „კიროვის ჩამოსვლის დროს, კიკნაძემ პათოსით განაცხადა, რომ მთელი პროფ. კავშ. კომუნისტების ხელშიაო, და თუ ყავთ მათ მართლა კავშირებში სექციები, გამოვიდენ ეს ვაჟბატონები და აქ გამოსთქვან თავიანთი აზრი ბაქოს პროვოკაციის შესახებო.“ უთუოდ თამაზაშვილს ჯერ კიდევ სჭირია ლაპარაკის ვარჯიშობა და ლაქიობა უმფროს ამხანაგების წინაშე. თორემ ვისგან მოითხოვდა პასუხს? მან კარგად იცის რომ ისინი უკვე საქართველოს დემოკრატიულ საპყრობილეებში სხედან. ალბათ ამასაც პროფ. კავშირების „ეკონომიკა“ მოითხოვს ყველა ამ ფაქტების შემდეგ, მე მგონი რომ ბატონი მენშევიკები თბილისის პროფ. კავშ. „მამამთავარნი“, ნაკლებად [illegible] რომ კავშირებში პოლიტიკური კითხვები ჩვენს იაერ არ ისმება და პარტიული თვალთა ხედვის ისრით არაფერს არ ვაკეთებთო, რაც შეგვეხება ჩვენ, კომუნისტებს, არასოდეს არ ვაცალკევებდით მუშების ეკონომიურ ბრძოლას პოლიტიკურ ბრძოლისაგან და საჭიროების დაგვარად მუდამ ვამუშავებდით როგორც ეკონომიურს აგრეთვე პოლიტიკურ კითხვებს და საგნებს, რადგან ყოველივე საზოგადოებრივ პოლიტიკურ გარდაქმნას საფუძვლათ ეკონომიური გარდაქმნა უძევს. და ნურას უკაცრავად, თუ ჩვენ კავშირებში მრავალი პარტიული კომუნისტი-ამხანაგები გვყავს, რაიც საშვალებას გვაძლევს ვიყოლიოთ, კომუნისტური ფრაქციები, როგორც ავანგარდი, მოწინავე რაზმი ბრძოლაში მუშების საკეთილდღეოთ. თქვენ კი ბატონებო, ტყვილს ბოლო ველარ დაუმალეთ და მთელ თქვენ სიშიშვლეს, რაც გინდა ბევრი ეცადოთ ვერაფრით ვერ დამალავთ. ეს უკანასკნელი განგაში თქვენ იმიტომ ასტეხეთ, რომ გსურთ დაჩრდილოდ ყველა ის ბოროტებანი რომელიც ამ ბოლო დროს ჩაიდინა თქვენმა გაბატონებულმა პარტიამ კომუნისტების მიმართ: კვლავ გაივსო საპყრობილეები ჩვენი ამხანაგებით და მიუხედავად ჩვენი პროტესტებისა თქვენ პირში წყალი ჩაიგუბეთ, და რომ არა ბაქოს „ცნობა“, ჩვენ დარწმუნებული ვართ, სხვა რამეს გამოსძებნიდით, რათა მუშების ყურადღება სხვა მხარეზე მიგექციათ. ტყუილად კი არ სწერს ვიღაც მუშა „ერთობის“ 152-ში რომ: „ერთი წყნარი კომუნისტი (ქალაქთა კავშ. სტამბისა) უკვე ზის თავის ალაგას და არის კიდევ მეორე ალშევსკი. რა არის ეს, თუ არა გაცემა? ეს მენშევიკების აზრით, უთუოდ „იდეური“ ბრძოლა იქნება. ასე სისტემატიურად ამზადებდით ჩვენს წინაამდეგ თავდასხმას და რა არის გასაკვირველი, რომ ახლა მოგეცათ „საშუალება“ შეტევაზე გადასვლისა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ფონს გახვიდეთ, მაგგვარ ხრიკებით. რა გინდ ბევრი ეცადოთ მაგგვარ ზომებით მუშებს თვალები აუხვიოთ, რა გინდ არ დაუჩლუნგოთ გონება თქვენი, სიყალბით ალსავსე დემოკრატიზმით, მუშების მეხსიერებაში მაინც წარუხოცელი დარჩება თქვენი მათდამი დევნა და სატუსაღოებში ჩაკეტვა, და რაც უფრო გადის დრო, მით უფრო მტკიცდება მუშებს შორის პროლეტარული რევოლიუციონური შეგნება.

**მუშა ოკინ.**

# მუშათა ცხოვრება

## ტყიბულის ქვანახშირის მაღაროს წარმოება.

დღეს ტყიბულის მაღაროს მუშები ადმინისტრატიულ შიშს შეუპყრია, სიმართლის გამოსათქმელ პირზე ხელი დაუფარებია, ვინაიდან თუ კრინტი დასძრა დათხოვნით ემუქრებიან. მუშათა რიცხვზე ბევრათ ნაკლები არ იქნება მოსამსახურეები სამთო ინჟენრიდან დაწყებული, უკიდურეს უბრალო წვრილ საქმის მეთვალყურემდის. თვითეული მათგანის საქმე რვა საათის მინიმუმში ხუთ ექვს ნაწილათ არის დაყოფილი! თუმცა ერთი შეასრულებს რვა საათში, მაგრამ ეს მაინც ასეა, ზოგი მათგანი ასე თუ ისე ნორმალურ სამუშაოს მაინც ასრულებს, ზოგიერთი კი უსაქმოთაც დახეტიალობს და ჯამაგირს მაინც ღებულობს. ვინაც შრომის სიმძიმეს ასრულებს ის ყველა მათი ბრძანებას ემორჩილება დ სამარისებურად სდუმს,—იკრიზებიან მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, მაგრამ რეზოლიუციები და დადგენილებები მათი ბრძანებლების სასარგებლოთ ტარდება ხოლმე ყოველთვის, და თუ მუშამ კრიტიკა გაუკეთა და სიმართლე აღიარა, იმას მუქარით უწოდებენ: შენ კომუნისტ-ბოლშევიკი ხარ და არევ-დარევა შემოგაქვს მუშებშიო და დატუსაღებას ან დათხოვნას პირდებიან, ერთმა ჩვენთაგანმა მუშამ საიდუმლოთ მესაუბრა: მე მიბარებენ ხშირათ და დავალებას მაძლევენ გავსცე ისინი, ვინც მუშებს სიმართლეზე ამხედრებსო, მაგრამ მე უარს ვამბობ ასეთ პროვოკატორობაზეო, უნდოდათ ზოგიერთ მუშებს, მუშებისაგან გამორიცხული ფულიდან კომუნისტურ გაზეთსაც რგებოდა ხვედრი წვლილი, მაგრამ ვერც ამან [illegible] ჯერ. ეს იმიტომ რომ საშინელ კრიზისში ვართ და დათხოვნას ერიდებიან, ამ ცოტა ხნის წინეთ ქუთაისიდან მოიყვანა 25 კაცი მაღაროში სამუშაოთ ჯინჭარაძემ, რომელიც დაპირებია ტუნელში 200 მ. დღიური ქირათ და გარეთ 150 მ. როდესაც მუშები კანტორაში გამოცხადდენ, მაშინ აცნობეს მათ რომ დღიური ქირა ექნებათ მეოთხე კატეგორიის, 77 მ., სამი გირვანქა შავი პური. გირ. 3 მ., სიმინდი 1 გირ. მანეთად. მუშებმა მოტყუილება რომ შეიტყვეს, ზოგი მაშინვე დაბრუნდა ქუთაისში ფეხით და ზოგიც ილაჯ წართმეული სამუშაოს შეუდგენ და მალე ისინიც წავლენ.

აქ არის გამომცხვარი პურის დასარიგებელი ბუტკა და ყოველ პურის დარიგებაზე გრძელი კუდი კეთდება და საათობით სჭირდება რიგში დგომა დაღლილ დაქანცულ მუშას, რაზედაც დიდი უკმაყოფილება არის. განა საშუალება არ აქვთ აქაურ ადმინისტრატიულ კავშირს რომ ამდენ ხანს არ გაგრძელდებოდეს რიგი და ორ ალაგას რიგდებოდეს პური? მაგრამ სად არის მუშის შემბრალე? აქ ასეთი ჯერ არავინ არის და შემდეგისათვის იქნებ ვეღირსოთ სწორ სამართლიანობის და ნამდვილ მუშათა ინტერესების დამცველს.

**ილ. თათიაშვილი.**

---

### როგორ ყვლეფენ მუშებს მენშევიკები რკინის გზის ფურნეში.

რკინის გზის ფურნის მუშებმა საერთო კრებაზე 6 ივლისს წამოაყენეს მოთხოვნილებანი: 1) სამუშაო ქირის მომატება 3.000 მან. ერთდროული დახმარება. თუ ხუთი დღის განმავლობაში შრომის სამინისტრო არ მოაწესრიგებს ამ საკითხს, მოსამსახურეებს ერთი გზა დარჩებათ: დაარღვიონ ხელშეკრულება. თუმცა ხელშეკრულება ძალიან იცავს რკინის გზის სასურსათო კომიტეტის ინტერესებს და მხოლოდ გაკვრით და საერთო ფორმებით იხსენიებს ფურნის მუშების ინტერესებს, მაგრამ ასეთი სახის ხელშეკრულებაც არ იქნა შესრულებული სასურსათო კომიტეტის მიერ. ასე მაგალითად, ხელშეკრულების ძალით სასურსათო კომიტეტმა უნდა მისცეს თვითეულ ფუთის გამოსაცხობათ 8 მან 80 კ. იმ პირობით, რომ გამოსაცხობათ მისცემენ 1400 ფუთს, რაც თვეში დაახლოვებით 3.000 მან. შეადგენს თვითეულ მუშაზე. ფაქტიურად კი სასურსათო კომიტეტი აძლევს ქვილს 1000 ფუთის გამოსაცხობათ და ქირას კი არ უმატებს. ამგვარათ სამუშაო ქირა ფაქტიურად მხოლოდ 2.000 მან. არის ამნაირათვე, მიუხედავათ ხელშეკრულების მე-9 მუხლისა, რომელიც ამბობს: „საქირაო შრომა პურის გამოსაცხობათ იცვლება სატარიფო პალატის დადგენილებების თანახმათ“, უკანასკნელის დადგენილება ერთდროულ დახმარების შესახებ 3.000 მან. სახით არ იქნა სისრულეში მოყვანილი. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება გამოიწვევდა გირვანქა პურზე სულ დიდ 10 კ. მომატებას. ასეთ მომატებას არ შეეძლო და არც უნდა დაეშინებია სასურსათო კომიტეტი, ვინაიდან ცხადია, რომ მუშების და მოსამსახურეების ორგანიზაციას, როგორიც არის სასურსათო კომიტეტი, არ შეუძლია განაგრძოს ფურნის მუშების ასეთი ყვლეფა. არ უნდა იქნან მიტოვებული მუშები ნახევრათ მშიერათ, და ეს გამართლებულ იქნას დემოკრატიულ პრინციპებით, არ შეიძლება მუშების ერთი ნაწილის პრივილეგიებით აღჭურვა, ხოლო მეორე ნაწილის კი „უბრალო მუშებათ“ ჩარიცხვა.

**პურის მცხობელი.**

# გამომცემ. „პროლეტარი“-ს შესახებ

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ ხანებში, როცა ჩვენ პარტიას ეხლანდელივით ნახევრათ ლეგალური მუშაობა ქონდა, ჩვენ, კომუნისტების ერთმა ჯგუფმა დავაარსეთ გამომცემლობა „პროლეტარი“ ს სახელწოდებით. დავიწყეთ მუშაობა, გამოვეცით რამდენიმე წიგნაკები, გავხსენით წიგნების მაღაზია და ის იყო მუშაობა უნდა გაგვეჩაღებინა, რომ ჩვენი ასეთი „რეაქციონური და კონტრ-რევოლიუციონური მუშაობა ვერ მოითმინა მენშევიკურმა მთავრობამ და პარტიის სხვა ორგანიზაციებთან ერთად ჩვენი გამომცემლობაც დაგვინგრია: დაგვიკეტენ მაღაზია და სამაგიეროთ წიგნების საწყობი გაგვიხსნეს მეორე ადგილას.

დღეს ჩვენი პარტია, სათქმელათ მაინც, „ლეგალურია“. ჩვენ დღეს უნდა გავაასკეცოთ მუშაობა. ჩვენი პარტია უკვე შეუდგა პოლიტიკურ მუშაობასთან ერთად კულტურულ მუშაობას. უკვე შედგა რაიონების წარმომადგენლებისაგან კულტურული ცენტრი, რომელიც ხსნის სამკითხველოებს, კლუბებს და ისახავს სხვა მრავალ მუშაობას. ბექდვითი საქმესაც ექცევა ჯეროვანი ყურადღება, ამიტომ დაუყონებლივ საჭიროა მოვიგონოთ გამომც. „პროლეტარი“ და გავეცნოთ მის სრულ ანგარიშს, შემდეგ კი ან განვაახლებთ მას, ან სრულ ლიკვიდაციას ვუყოთ.

**სანდრო.**

# კომუნისტების დევნა

ხუთშაბათს 8 ივლისს, სოფ. ვაკისუბანში (ქუთ. მაზრა) დააკავეს ამხ. მიშა ოკუჯავა. იქ ის თავის ცოლ-შვილის სანახავად ჩავიდა წინ საღამოს და როდესაც უკან ბრუნდებოდა, ის შეიპყრო სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწემ. ქუთაისში ბ ნმა მალნარაძემ განუცხადა, რომ მას ბრალდება ჯარში და გლეხებში აგიტაციის გაწევა არსებული წესწყობილების წინაამდეგ. როდესაც მას უთხრეს, რომ მაგვარი ბრალდების გაქარწყლება სრულიად ადვილია, რომ ყველა ადგილობრივმა გლეხებმა იციან, რომ ს. ვაკისუბანში ასეთი არაფერი მომხდარაო, მაშინ ბ-მა მალნარაძემ ბრძანება მისცა ადგილობრივ კომისარს და ერობის წარმომადგენელს, რომ მათ არავითარი მოწმობა არ გაეცათ იმის შესახებ, რომ ამხ. ოკუჯავას ს. ვაკისუბანში აგიტაცია არ გაუწევია. როდესაც ამხ. ოკუჯავამ უთხრა: თქვით პირდაპირ, რომ მაკავებთ იმიტომ, რომ კომუნისტი ვარ და იმ ბრალდების, რომელიც წამოიყენეთ, თქვენ თითონ არ გჯერათო, მან განაცხადა: „მე კომუნისტობიზა არავის არ ვიჭერ და თუ თქვენ გამართლდებით, შევიძლიათ ადმინისტრაცია მისცეთ სამართალში ცილისწამებისათვისო“. მეორე დღეს კი ზან ბრძანა, კიდევაც რომ გამართლდეს, მისი გამოშვება მაინც არ შეიძლება, სანამ ბოლშევიკები არ დაწყნარდებიანო. ამით მან პირდაპირ თქვა, რომ ამხ. ოკუჯავას სდევნიან როგორც კომ-ტს, მაგრამ საბაბათ კი შეთხზულია ბრალდება. ამნაირად გამოდის, რომ „თავისუფლების ოაზისში“ ადმინისტრაციას შეუძლია, [illegible] თავში მოუვა ის დაგაბრალოს, დაგატუსაღოს, მიგისპოს ყოველივე საშუალება გამართლებისა, და თუ მაინც გამართლდი, ხინც არ გამოგიშვას, თუ კი კომუნისტი ხარ. თვითნებობა, ძალმომრეობა ამას იქით მგონი ველარ წავლენ.

ამას უნდა დაუმატოთ ის, რომ სისხლის სამართლის კომისრის თანაშემწე ბ-ნი დარსანია, რომელიც გაგზავნილი იყო ამხ. ოკუჯავას დასატუსაღებლად ავრცელებდა გლეხებში ხმას, რომ ისინი ეძებენ ყაჩაღს, რომელმაც მოიტაცა 4—7—24 (ზოგს ერთი რიცხვი დაუსახელეს და ზოგს მეორე) მილიონი ფული და ვაკისუბანისკენ გაიქცა. და ეს ვაჟბატონი, როდესაც მათ ამხ. ოკუჯავა ხელთ იგდო. და როდესაც მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა (ხუმრობა ხომ არ არის ასეთი მაგნ პირის დაჭერა, უთუოთ ჯარჩინებას მიიღებს), ამბობდა ჩხრეკის დროს, რომ ის თვითონ ბოლშევიკია, მაგრამ ჭამა ყველას უნდა და სხვა ასეთები.

ასეთის მოწამე ვართ ჩვენ საქართველოს კომუნისტური პარტიის „ლეგალიზაციის“ შემდეგ

**ძ.**

---

## დ ახალქალაქში.

დ. ახალქალაქში (გორის მაზრა) დაატუსაღეს ვინმე შაქრო ოტიაშვილი ბრალდებად წამოუყენეს გაზ. „კომუნისტის“ კითხვა.

**ხ**

# მისალმებანი.

უძღვენი ულრმეს სალამს გაზ. „ახალ კომუნისტის“ თანამშრომელთ და მესვეურთ.

გაუმარჯოს რუსეთის პროლეტარიატს რომელმაც საქართველოს გამოუწოდა თავისი მძლეთა-მძლე ხელი, რომ საერთაშორისო სოციალიზმისაკენ გააქანოს. ის

**ილ. თა—ლი.**

---

**სალამი „ახალ კომუნისტს“.**

**სადმელი.** (ქვემო რაჭა) სადმელის საზოგადოების კომუნისტური ორგანიზაციის წევრნი აღფრთოვანებული [illegible] ბით და სალამს ვუძღვნით მშრომელ ხალხის ორგანოს და მისი ინტერესების შეუდარებელ საქმის დამცველს „ახალ კომუნისტს!“ სალამი და ენით გამოუთქმელი მადლობა მის მესვეურთ გამოცდილ გამობრძმედილ მებრძოლ ვეტერანთ! ჩვენი მხრით კი ფიცსა ვდებთ აღმოუჩინოთ ჩვენს ორგანოს ყოველგვარი დახმარება: ჭირში და ლხინში მასთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებულნი ვიყოთ.

ამხანაგების მონდობილობით [illegible]

P. S. გულითად მადლობას ვუძღვნი ამხ. შიო ლობილაძეს, რომელმაც სადმელის უფასო სამკითხველოს გამოუწერა ერთი თვით მშრომელთა ორგანო „ახალი კომუნისტი“.

**დ—ძე**

---

**დრ. რედაქტორი:**
**დიმიტრი ჯორბენაძე.**

---

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დღიდან მოთავსებულია რუსთაველის საზოგადოებაში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და დამით 4 საათიდან 7 საათამდე.